

# საქმე, რომელიც დავით ნარმანიამ სააპელაციო სასამართლოში აღარ გაასაჩივრა

[gurianews.com/\\_left\\_wide/39045\\_67\\_ka/saqme\\_romelic\\_daviT\\_narmaniam\\_saapelacio\\_sasamarTloSi\\_aRar\\_gaasaCivra.html](http://gurianews.com/_left_wide/39045_67_ka/saqme_romelic_daviT_narmaniam_saapelacio_sasamarTloSi_aRar_gaasaCivra.html)

ვაკის პარკთან სასტუმრო „ბუდაპეშტი“ აღარ აშენდება. 22-მილიონიანი პროექტის შეჩერების გადაწყვეტილება თბილისის მერმა მიიღო.

სკანდალურად ცნობილ პროექტზე უარი დავით ნარმანიამ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო თქვა \_ დედაქალაქის მერიამ „კომერსანტს“ სწორედ ეს დაუსახელეს მრავალმილიონიანი ინვესტიციის შეჩერების მიზეზად.

თავის დროზე ვაკის პარკის მიმდებარედ სარეკრეაციო ზონა 2-ში მდებარე მინის ნაკვეთზე, რომელიც შპს „ტიფლის კოსტავას“ ეკუთვნოდა, მერიამ ზონალური შეთანხმება, არქიტექტურის სამსახურმა კი მშენებლობის ნებართვა გასცა.



თუმცა, ბრძანება მშენებლობის ნებართვის შესახებ საქალაქო სასამართლოში გასაჩივრდა. მომჩივან მხარეს ზურაბ ბაქრაძე, თეიმურაზ კალანდაძე და ააიპ „მწვანე ალტერნატივა“ წარმოადგენდნენ.

მერიის ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2 მარტს ბათილად ცნო თბილისის მერის და არქიტექტურის სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციულ ორგანოებს დაევალოთ, ხელახალი მსჯელობის შემდეგ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

თბილისის მერიის ინფორმაციით, საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობის ნებართვის გაბათილების შესახებ, თბილისის მერმა სააპელაციო სასამართლოში აღარ გაასაჩივრა, შედეგად „ბუდაპეშტის“ მშენებლობა ჩაიშალა.

ვაკის პარკთან სასტუმრო „ბუდაპეშტის“ პროექტი, „ტიფლის ბიზნეს ჯგუფს“ უნდა განეხორციელებინა, თუმცა, კომპანიამ პროექტი 2016 წლის დასაწყისში, ამერიკელი ინვესტორებზე გაყიდა.

„ტიფლის ბიზნეს ჯგუფის“ ხელმძღვანელს არც ინვესტორის და არც საშუამავლო კომპანიის სახელწოდება არ გაუვრცელებია. არ დასახელდა არც გარიგების მოცულობა.

„ფინანსურად ვეღარ გავუძელი პროექტის შენახვა-გაგრძელებას, ისინი კი დებენ ინვესტიციას და აშენებენ. სხვას ვერაფერს გეტყვით“-აცხადებდა მაშინ ბაქაიძე.

ახალი ინვესტორის ვინაობა არ სახელდება არც თბილისის მერიის მიერ, შედეგად, უცნობია გაასაჩივრებს თუ არა თბილისის მერის ამ გადაწყვეტილებას ინვესტორი და ზოგადად, რისთვის გამოიყენებს კუთვნილ ტერიტორიას.

„კომერსანტი“ თემაზე მუშაობას აგრძელებს და შეეცდება, მოიპოვოს ინფორმაცია თბილისის მერიიდან, შეეცვალება თუ არა ტერიტორიას სტატუსი და შესაძლებელი იქნება თუ არა ადგილზე სხვა ბიზნესპროექტის განხორციელება.

22-მილიონიანი სასტუმრო „ბუდაპეშტის“ მშენებლობა ერთ წელზე მეტია შეჩერებულია. იანვარში პროექტის ყოფილი მფლობელი „ტიფლის ბიზნეს ჯგუფის“ ხელმძღვანელი გიორგი ბაქაიძე „კომერსანტთან“

აცხადებდა, რომ თბილისის მერიის მხრიდან ზენოლა მიმდინარეობდა, რათა კომპანიას მიწის ნაკვეთი ვარკეთილსა და ვაზისუბანში არსებულ რომელიმე სხვა ნაკვეთზე გადაეცვალა.

„ჩვენ მზად ვართ, რომ მიწის ნაკვეთი დავუთმოთ 11 მილიონი დოლარის სანაცვლოდ. ამ 11 მილიონში შედის – მიწის ნაკვეთის ღირებულება (3 მილიონი დოლარი), სავარაუდო მოგება (7 მილიონი დოლარი) და შეჩერებული სამუშაოების გამო გამონვეული ზარალი (1 მილიონი დოლარი). ხოლო თუ მერია არც ამ წინადადებაზე დათანხმდება და მშენებლობის საშუალებასაც არ მოგვცემს, კომპანია სამართლებრივად გააგრძელებს ბრძოლას, რაც, მერიას 30 მილიონი დოლარი დაუჯდება,“ – ასეთი იყო კომპანიის პოზიცია.

კომპანიაში ირწმუნებოდნენ, რომ ზედამხედველობის სამსახურის მიერ მითითებული ხარჯები ოპერატიულად აღმოფხვრეს და მშენებლობის დაწყების შემთხვევებელი არავითარი მიზეზი არ არსებობდა, თუმცა მერია მათ სამუშაოების გაგრძელების საშუალებას არ აძლევდა.

მაშინ „ტიფლის ბიზნეს ჯგუფში“ არ გამოორიცხავდნენ, რომ აღნიშნული ტერიტორიისადმი გარკვეული ინტერესი არსებობდა და მერია სწორედ ამიტომ უშლიდა ხელს კომპანიას. ვაკის პარკთან დაგეგმილ მშენებლობას საზოგადოების ნაწილი აპროტესტებდა.

წყარო: კომერსანტი